


# უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№12 (79) 2017


## თსუ 100 წლის იუბილეს აღნიშნავს

### უნივერსიტეტში „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების“ აღდგენის ღონისძიება გაიმართა









2017 წლის 15 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების“ აღდგენის ღონისძიება გაიმართა. საზოგადოება უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებსა და მის მხარდამჭერებს აერთიანებს. მათ უკვე დაისახეს კონკრეტული მიზანი – უნივერსიტეტში კვლევისა და მეცნიერების განვითარება და სტუდენტებისთვის ხელსაყრელი სასწავლო გარემოს შექმნა. ამ ღონისძიებით დაიწყო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილის აღნიშვნა, რომელიც 2018 წელს იუნესკოს ეგიდით გაიმართება.

გაგრძელება მე-2 გვ.

## თსუ საქართველოს კვლევით ცენტრებს შორის ლიდერობას ინარჩუნებს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს კვლევით ცენტრებს შორის კვლავ ლიდერობს. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ 2017 წლის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის შედეგებით ყველაზე მეტი გრანტი თსუ-მ მოიპოვა.

გამარჯვებული 86 პროექტიდან თსუ-ს 39 პროექტი (45%) ეკუთვნის, მათგან 3 საპროექტო განაცხადში თსუ თანამონაწილე ორგანიზაციის სახელითაა. ერთობლივ გამარჯვებულ პროექტებში თსუ მეცნიერები თანამშრომლობენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის მკვლევრებთან.

ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების მიზანია ხელი შეუწყოს ფუნდამენტური ხასიათის სამეცნიერო კვლევებს, ახალი ცოდნის შექმნას, ახალი იდეებისა და კონცეფციების, მოვლენებისა და ფაქტების, თეორიებისა და მოდელების თეორიულ და ექსპერიმენტულ შესწავლა-ანალიზს, შემდგომ განვითარებას, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ხელს შეუწყობს ქვეყანაში სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საზოგადოებრივ, კულტურულ და საინფორმაციო-ტექნოლოგიურ პროგრესს.

ფუნდამენტური კვლევების საგრანტო კონკურსში განაცხადის წარდგენა შესაძლებელი იყო შემდეგ დარგებში: საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ინჟინერია და ტექნოლოგიები, სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებები, აგრარული მეცნიერებები, სოციალური მეცნიერებები, ჰუმანიტარული მეცნიერებები, საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები.

## თსუ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები – ევროპული იმიტირებული სასამართლო პროცესების შეჯიბრის გამარჯვებულები



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა პირველი ადგილი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ლტოლვილთა სამართლის საერთო ევროპული იმიტირებული სასამართლო პროცესების შეჯიბრში დაიმსახურა. შეჯიბრის ფინალს 2017 წლის 21-25 ნოემბერს ლუბლიანას უნივერსიტეტმა (სლოვენია) უმასპინძლა. თსუ-ის გუნდმა ამ საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობა პირველად მიიღო და საერთაშორისო იმიტირებული პროცესების ფინალური რაუნდიც მოიგო.

გუნდი საერთაშორისო სამართლის მიმართულების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს – სალომე შუბლაძეს, რევაზ ტყემალაძესა და დავით ჯავახიშვილს აერთიანებს. საერთაშორისო შეჯიბრში გუნდურად გამარჯვებასთან ერთად რევაზ ტყემალაძემ კონკურსის საუკეთესო გა-

გაგრძელება მე-4 გვ.

## „შემოდგომის ლეგენდა – 2017“ – გამარჯვებულები საკონკურსო გამოცდილების შესახებ

კონკურსის „შემოდგომის ლეგენდა“ 2017 შედეგები ცნობილია. შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ხატია იათაშვილი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი ალექსანდრე კალმახელიძე, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობისა და დიპლომატიის ფაკულტეტის სტუდენტი მარიამ ჭუმბურიძე – ასე გამოიყურება გამარჯვებულთა სამეული.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კომპანია „ჯეოსელის“ ერთობლივი პროექტი – სტუდენტური ლიტერატურული კონკურსი წელს მეცხრედ ჩატარდა. მისი მიზანი ნიჭიერი თაობის აღმოჩენა და მათთვის გზის გაკვალვაა. კონკურსში მონაწილეობას საქართველოს მასშტაბით არსებული ყველა აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები იღებენ. კონკურსი ორ ეტაპად ხორციელდება. წელს პირველ ტურში მონაწილეობა 427-მა კონკურსანტმა მიიღო. 10 ფინალისტი შიდა შესარჩევმა ჟიურის წევრებმა გამოავლინეს, რომლებმაც იმპროვიზაციულ ტურში ჟიურის მიერ შერჩეულ თემაზე, 12 საათის განმავლობაში ახალი ნაშრომები შექმნეს.

ლეგენდის 2017 წლის ლიტერატურული ჟიურის წევრები იყვნენ: მწერლები დათო ტურაშვილი, თეონა დოლენჯაშვილი, მაკა ლდოკონენი, არჩილ ქიქოძე და შარშანდელი გამარჯვებული ბექა ბერაძე. ჟიურიმ მონაწილეებს თემად „სხვისი ავტობიოგრაფია“ შესთავაზეს.

პირველი საპრიზო ადგილი ხატია იათაშვილს ერგო, მისი ნაშრომი „რკინის ჭიქა“ ჟიურის წევრების ფავორიტი გახდა.

„ყოველთვის ზედმეტად კრიტიკული ვარ საკუთარი ნაწერების მიმართ. მინდოდა, ამ კონკურსით დამენახა, შემიძლია თუ არა მართლა რაღაცის





გაგრძელება მე-4 გვ.

## „კოსმოსური ჰაკათონის“ გამარჯვებულები თსუ-დან



„კოსმოსური ჰაკათონის“ გამარჯვებულები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი სტუდენტი, სალომე თათოშვილი და სანდ-დიეგოს სახლემწიფო უნივერსიტეტის ბიოქიმიის ფაკულტეტის სტუდენტი, დავით ხუციშვილი გახდნენ. პროექტი საქართველოში აშშ-ს საელჩოს მხარდაჭერით არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატიის ლაბორატორიამ“ განახორციელა.

კონკურსი ორ ეტაპად განხორციელდა – პირველ ეტაპზე მონაწილეობის მსურველებმა გააგზავნეს პროექტი, მეორე ეტაპზე კი ისინი წარადგინეს. ჰაკათონის მთავარი თემა მარსის კოლონიზაცია გახლდათ. საქართველოს მასშტაბით შერჩეული 15 გუნდი 30 საათის განმავლობაში მუშაობდა. საკუთარი პროექტები მათ ჟიურის წინაშე პრეზენტაციის სახით წარადგინეს.

„ჩვენ კონკურსში წარვადგინეთ პროექტი „ციანოცირკულაცია“. ეს წარმოადგენს სისტემას, რომელიც დაგვეხმარება მარსზე ეფექტურად დავზოგოთ ყველა რესურსი. ციანობაქტერია ის ორგანიზმია, რომელმაც პირველმა გამოყო ცხოველმყოფელობის გზით ჟანგბადი. ამიტომ შევუქმენით მას მარსისთვის ოპტიმალური პირობები და ვაჩვენეთ, რომ იმ პირობებშიც შესაძლებელია ამ ბაქტერიის მიერ ჟანგბადის გამოყოფა“, – ამბობს სალომე თათოშვილი.

სალომე თათოშვილი და დავით ხუციშვილი „თიბისი ბანკის“ მხარდაჭერით გაემგზავრებიან ნიდერლანდებში, ევროპის კოსმოსური სააგენტოს მუზეუმის, Space Expo-ს სანახავად.

## ლუკა ლომთაძე სტაჟირებას Facebook-ის სათავო ოფისში გაივლის



გვ. 2

## „ზამთრის სკოლები“ თსუ „საბავშვო უნივერსიტეტისგან“

2018 წლის დასაწყისში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საბავშვო უნივერსიტეტი“ სკოლის მოსწავლეებს ორ ზამთრის სკოლას სთავაზობს. 8 – 12 იანვარს, თსუ საბავშვო უნივერსიტეტის ზამთრის სკოლა „მე და საზოგადოება“ გაიმართება. სკოლა თსუ უწყვეტი განათლების ცენტრის საბავშვო უნივერსიტეტისა და აბიტურიენტთა სამსახურის მიერაა ორგანიზებული.

გვ. 2

# გაალ კოკაია ევროპის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს



ევროპის მეცნიერებათა აკადემიას (Academia Europaea) საქართველოდან კიდევ ერთი მეცნიერი შეემატა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი, ლუნდის უნივერსიტეტის პროფესორი გაალ კოკაია ევროპის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს.

ევროპის მეცნიერებათა აკადემიის (Academia Europaea) წევრები საქართველოდან ასევე არიან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე და საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორი დავით ლორთქიფანიძე

# ლუკა ლომთაძე სტაჟირებას Facebook-ის სათავო ოფისში გაივლის



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ლუკა ლომთაძე სტაჟირებას Facebook-ის სათავო ოფისში გაივლის. ლუკა ლომთაძის შესახებ გასულ წელს გიამბეთ, როდესაც ლუკამ მეგობრებთან ერთად NAPP, NAEC app აპლიკაცია შექმნა, აპლიკაციით დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს საკუთარი ცოდნისა და ტესტირების უნარების სრულყოფა შეუძლიათ.

NAEC app აპლიკაციიდან ფეისბუქამდე გზა – ლუკასთვის საინტერესო იყო, 250 000 სტუდენტიდან საუკეთესო 300 სტუდენტს შორის მოხვდა და ფეისბუქმა გაფხულში მენლო პარკში, „სილიკონ ველიზე" სოფტვეარ დეველოპერად აარჩია.

ლუკა კომპიუტერული ინჟინერიის მესამე კურსის სტუდენტია. 2017 წელს ის გაცვლითი პროგრამით იმყოფებოდა სან დიეგოში. კალიფორნიაში ჩასვლიდან მალევე გადაწყვიტა ფეისბუქის ყველაზე მოთხოვნად კონკურსში მონაწილეობის მიღება. სათავო ოფისში გაიარა ორი ტექნიკური გასაუბრება, რომელშიც დეტალურად გამოსცადეს მისი შესაძლებლობები.

„NAPP იყო პირველი იმ მრავალი აპლიკაციათაგან რომელიც სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა შევქმენით. ეს პირველი ერთობლივი პროექტი იყო. ახალბედა სტუდენტებისთვის დიდი ინტერესით და მონდომებით ვცდილობდით შეგვექმნა აპლიკაცია, რომელიც დაეხმარებოდა სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს უკეთესად მომზადებულიყვნენ საატესტატო თუ ეროვნული გამოცდებისთვის.

დღემდე ათობით პროექტი შევქმენი სხვადასხვა პროგრამულ ენაში სხვადასხვა პლატფორმაზე, რომელიც უმარტივებს ადამიანებს ცხოვრებას. ჩემი მიზანი იყო ფეისბუქში მუშაობა. კომპანიაში, რომელშიც მუშაობა, დამეთანხმებით, ძალიან ბევრი პროფესიონალი პროგრამისტის ოცნებაა," - ლუკა ამბობს, რომ ფეისბუქში მისი მუშაობა დაახლოებით 3 თვე გასტანს, გუნდებში გადანაწილება 1-2 თვით ადრე დაიწყება,- „ჯამში ორი ტექნიკური ინტერვიუ ჩამიტარდა, რომელშიც გამოცადეს ჩემი შესაძლებლობები. ბოლო ინტერვიუდან ერთ კვირაში მივიღე შემოთავაზება. რეკრუიტერმა მითხრა , რომ მარკ ცუკერბერგსაც შევხვდები. დარწმუნებული ვარ წინ კიდევ ბევრი ძალიან საინტერესო გამოწვევა მელის," – ამბობს ლუკა. 20 წლის ლუკა ლომთაძე Facebook-ის გუნდს მაისიდან შეუერთდება.

# „ზამთრის სკოლები" თსუ „საბავშვო უნივერსიტეტისგან"

2018 წლის დასაწყისში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საბავშვო უნივერსიტეტი" სკოლის მოსწავლეებს ორ ზამთრის სკოლას სთავაზობს. 8 – 12 იანვარს, თსუ საბავშვო უნივერსიტეტის ზამთრის სკოლა „მე და საზოგადოება" გაიმართება. სკოლა თსუ უწყვეტი განათლების ცენტრის საბავშვო უნივერსიტეტისა და აბიტურიენტთა სამსახურის მიერაა ორგანიზებული.

ამ ზამთრის სკოლაში მონაწილეობა შეუძლიათ მე-9-10-11 კლასების მოსწავლეებს, რომელთა შერჩევა სამოტივაციო წერილის საფუძველზე მოხდება.

მოსწავლეები მოისმენენ ლექციებს თემებზე: ადამიანის სამი ფუნდამენტური უფლება; ინდივიდის მოქმედების ფსიქოლოგიური ასპექტები; მოზარდი და საზოგადოება; მოზარდი და სამართალი; მე, მოქალაქე – ჩართულობა სამოქალაქო აქტივიზმში. ლექციები ილუსტრირებული იქნება პრეზენტაციებით, ფილმებით მოცემულ თემაზე. ყოველი ლექციის შემდეგ გაიმართება დისკუსია მოცემულ თემაზე. ყოველ მოსწავლეს ექნება საშუალება ჩაერთოს დისკუსიაში, გამოთქვას საკუთარი აზრი, დაასაბუთოს საკუთარი მოსაზრება. მსურველებს შეეძლებათ თვალყური ადევნონ სკოლის მიმდინარეობას ლაივ რეჟიმში – თსუ საბავშვო უნივერსიტეტის ფეისბუქის გვერდზე – FB თსუ საბავშვო უნივერსიტეტი.

8-13 იანვარს, თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტი და თსუ საბავშვო უნივერსიტეტი ატარებენ ზამთრის სასწავლო-სამეცნიერო სკოლას გამოყენებით მათემატიკაში „ნაბიჯ-ნაბიჯ ცოდნისაკენ – 12".

სკოლაში მონაწილეობის შესაძლებლობა აქვთ მოსწავლეებს მე-7-დან მე-11 კლასის ჩათვლით. განცხადებები მიიღება 11 დეკემბრიდან 24 დეკემბრის ჩათვლით წარმოებდა. გასაუბრება კი 2018 წლის 5 იანვარამდე. მსმენელები შესაბამის ასეკობრივ ჯგუფებად იქნებიან დაყოფილი.

# თსუ 100 წლის იუბილეს აღნიშნავს

## უნივერსიტეტში „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების" აღდგენის ღონისძიება გაიმართა

***პირველი გვერდიდან***

„ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება" 1917 წელს შეიქმნა და კავკასიის რეგიონში პირველი ეროვნული უნივერსიტეტის შექმნას ჩაუყარა საფუძველი. 1917 წლის დეკემბერში ამიერკავკასიის კომისარიატმა ქართული უნივერსიტეტის წესდების ძირითადი დებულება საბოლოოდ დაამტკიცა, შედეგად ზუსტად 100 წლის წინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურიდიულად დაფუძნდა.

100 წლის შემდეგ საზოგადოების აღდგენის მიზანს თსუ რექტორი გიორგი შარვაშიძე ასე განმარტავს:.

„ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება, უპირველესად, რა თქმა უნდა, ორიენტირებული იქნება ნიჭიერი სტუდენტების გამოვლენაზე და მხარდაჭერაზე. სტუდენტი არის ცენტრი ყველაფრისა, რის გარშემოც აიგო უნივერსიტეტი თავის დროზე და დღემდე ეს პრინციპი არის ურყევი. დღეს ჩვენ გვაქვს საშუალება, რომ კონსტიტუციაში დავაფიქსიროთ უნივერსიტეტის ავტონომია და ეს არის ზუსტად გაგრძელება იმ ისტორიისა, რომელიც დაიწყო 100 წლის წინ."

100 წლის წინ დაფუძნებულმა საზოგადოებამ მართლაც დიდი როლი ითამაშა უნივერსიტეტის დაარსებისა და საჭირო ფინანსური სახსრების მოძიებაში. ფინანსური სახსრების მოძიება დღესაც წარმოადგენს უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას, ღონისძიებაზე ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა გააჟღერა სახელმწიფო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის – თსუ-ს მეორე კორპუსის აღდგენას სახელმწიფო დააფინანსებს. ასევე, სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტსა და უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლაში (ISET). პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს ასევე სახელმწიფო საუბილეო კომისიას, რომელიც მოამზადებს საჭირო პირობებს უნივერსიტეტის 100 წლის იუბილის ღონისძიებისთვის.

„თსუ იყო პროგრესის წყარო და თუ საიდანმე ქროდა სიახლის ქარი, ქროდა ყოველთვის თსუდან. იგი იყო გაცილებით უფრო დიდი ღირებულება და ფასეულობა, ვიდრე მხოლოდ საგანმანათლებლო კერა. ის იყო კულტურის კერა და ჩვენი სახელმწიფოებრიობის ბურჯი იმ ურთულესი წლების განმავლობაში, როდესაც კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა ჩვენი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება", – აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა ისიც,რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სხვა მრავალ პროექტთან ერთად დაიწყებს 3000 სტუდენტისთვის გათვლილი საერთო საცხოვრებლის მშენებლობას. თსუ ყოფილი პრო-რექტორის და ახლა უკვე განათლების მინისტრის, მიხეილ ჩხენკელის თქმით, 2018 წელს მეცნიერების ფესტივალი მიეძღვნება უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს და ჩატარდება თსუ-ში. „დღეს აღდგა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება, სადაც ყველას აქვს საშუალება, რომ თავისი წვლილი შეიტანოს უნივერსიტეტის განვითარების ძალიან მნიშვნელოვან საქმეში. მინდა მივულოცო უნივერსიტეტელებს და მთელ საქართველოს დღევანდელი ძალიან მნიშვნელოვანი დღე,"- აღნიშნა მიხეილ ჩხენკელმა.

1917 წელს შემოდგომაზე უნივერსიტეტის დამფუძნებელთა მუშაობა უმაღლესი სასწავლებლის გასახსნელად განსაკუთრებით აქტიურ ფაზაში იყო გადასული. 1917 წლის 3 ოქტომბერს ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების პირველ საერთო კრებაზე ივანე ჯავახიშვილმა უნივერსიტეტის „დებულებანი და წესდება" წარადგინა. საზოგადოების პირველი თავმჯდომარე ექვთიმე თაყაიშვილი გახლდათ, 100 წლის შემდეგ, საზოგადოების საქმიანობას თსუ კურსდამთავრებული, ლუნდის (შვედეთი) უნივერსიტეტის პროფესორი გაალ კოკაია წარუძღვება.

„უნივერსიტეტი არის არა მხოლოდ ის ადგილი, სადაც ვყალიბდებით როგორც პროფესიონალები, მოაზროვნეები, არამედ, როგორც საზოგადოების წევრები. უნივერსიტეტი ყველასია. მას არ აქვს სოციალური, ეროვნული, რელიგიური, გენდერული, პოლიტიკური თუ სხვა კუთვნილება. ის ეკუთვნის საზოგადოებას. ბუნებრივია, ჩვენ ყველას გვიჩნდება სურვილი, რომ გარკვეულწილად ხარკი გადავუხადოთ უნივერსიტეტს – ის რაც ჩვენ მივიღეთ უნივერსიტეტში და გაგვყვა მთელი ცხოვრების მანძილზე – შეძლებისდაგვარად უკან დავუბრუნოთ. შევიტანოთ ჩვენი წვლილი ალმა მატერის კეთილდღეობასა და შენებაში".

ღონისძიების ბოლოს დამსწრე საზოგადოებიდან მსურველებმა ხელი მოაწერეს ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების წევრობის ფურცელს. მათ შორის ერთ-ერთი პირველი იყო შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი, მანანა მიქაბერიძე. იგი საზოგადოების მოღვაწეობის სამომავლო შედეგებზე საუბრობს.

„უნივერსიტეტი ეს არ არის მხოლოდ ინსტიტუცია, ეს არის აზროვნების, ცხოვრების სტილი, ფილოსოფია, ღირებულებები, ის რაც დღეს მოხდა არის უაღრესად მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა. აღდგა ის ორგანიზაცია, რომელიც ზრუნავს ახალგაზრდების განვითარებაზე და სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ორგანიზაციის წევრები ყველაფერს გააკეთებენ, რომ განათლება, კვლევა და მეცნიერება იყოს ქვეყანაში პრიორიტეტული და ამ ყოველივემ შემდგომში ხელი შეუწყოს ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ წინსვლას", – აღნიშნა მანანა მიქაბერიძემ.

თსუ პროფესორის, უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიული ცენტრის სამეცნიერო ხელმძღვანელის, თინათინ მარგალიტაძის თქმით, ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების აღდგენით, ამ საზოგადოების წევრები და უნივერსიტეტი ძველ ფესვებს უბრუნდება.

„ჩემთვის უნივერსიტეტი არის ჩემი ცხოვრება, 16 წლის ვიყავი, როდესაც პირველად შემოვდგი ფეხი თსუ-ში. ძალიან ვღელავ, ის რაც დღევანდელ დღეს მოხდა არის დროული ნაბიჯი, იდეის ავტორებმა მოახერხეს, რომ ჩვენ ვუბრუნდებით ფესვებს. ჩვენ თავზე დაგვყურებს დიდი ქართველი ივანე ჯავახიშვილი, ის და ქართველი მეცნიერების მაშინდელი თაობა,რომლებმაც შექმნეს და იღვაწეს უნივერსიტეტისთვის, არიან მანათობელი შუქურა. და ჩემთვის,როგორც უნივერსიტეტში მომუშავე ერთი ადამიანისთვის, ერთი ჯარისკაცისთვის, დღევანდელი დღე მნიშვნელოვანია და უფრო აბჯარასხმულად ვგრძნობ თავს. დარწმუნებული ვარ, რომ საზოგადოების წევრები ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის,რომ ფონდმა იარსებოს", – ამბობს პროფესორი თინათინ მარგალიტაძე.

1918 წლის 8 თებერვალს (ძვ. სტილით, 26 იანვარს) კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი გაიხსნა, მან ქართულ ენაზე სწავლებითა და ქართული საგანმანათლებლო ტრადიციების გათვალისწინებით, საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ევროპული ტიპის უმაღლეს სკოლას. ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორი, ზვიად ჭუმბურიძე ამ მოვლენის მნიშვნელობასა და ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების აღდგენას ერთმანეთს ადარებს.

„დღეს საზოგადოება ხელმეორედ გაცოცხლდა, არ ყოფილა არც ერთი მოვლენა მე-20 საუკუნეში, რომელშიც უნივერსიტეტს თავისი როლი არ ეთამაშა და პირდაპირ გეტყვით, სწორედ ამ კედლებში იქმნებოდა საქართველოს ისტორია, ქართველი ხალხის ისტორია და თავისუფლებისადმი ასეთი განსაკუთრებული მიდგომები, რომლებმაც, საბოლოო ჯამში, მიგვიყვანა ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებამდე. ჩემთვის განსაკუთრებული დღეა, მე თვითონ უნივერსიტეტელი ვარ და ამ კედლებში გავატარე ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები. მადლობა თსუ რექტორს ამ იდეისთვის და ჩვენ, ახალი თაობა მაქსიმალურად დავეხმარებით და ხელს შევუწყობთ მას ამ კეთილი საქმის გაგრძელებაში და მაღალ დონეზე შესრულებაში," – ამბობს ზვიად ჭუმბურიძე.

ღონისძიებას მინისტრებთან, ქვეყნის პრეზიდენტთან და თსუ პროფესორებთან ერთად ესწრებოდა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრე მეუფე შიო, მან სიტყვით მიმართა საზოგადოებას და მისი სამომავლო საქმიანობა დალოცა.

„უნივერსიტეტის დაარსება იყო ერთ-ერთი გადამწყვეტი და უმნიშვნელოვანესი მოვლენა ჩვენი სახელმწიფოებრიობის ისტორიაში. იგი საგანმანათლებლოსთან ერთად, არის სულიერი ღირებულებების ცენტრი, ცენტრი სულიერი და ეკლესიური აზროვნების გადარჩენისა. მრავალი სასულიერო მოღვაწე აღიზარდა უნივერსიტეტის კედლებში,"- განაცხადა მეუფე შიომ.





ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების წესდების თანახმად, საზოგადოების წევრი შეიძლება გახდეს უნივერსიტეტის კურსდამთავრებული პირი. ასევე ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც იზიარებს საზოგადოების მიზნებს და რომელსაც სურვილი აქვს მხარი დაუჭიროს უნივერსიტეტს, იზრუნოს უნივერსიტეტის განვითარებაზე, მის პოპულარიზაციაზე. წევრობის მსურველმა საზოგადოების თავმჯდომარეს უნდა წარუდგინოს წერილობითი განცხადება საზოგადოებაში გაწევრიანების თაობაზე.

# თსუ სტუდენტები აშშ უნივერსიტეტებში

***თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამი სტუდენტი აშშ-ის საელჩოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვების შემდეგ მომავალ წელს ერთი სემესტრით ამერიკის სხვადასხვა უნივერსიტეტში სასწავლებლად გაემგზავრება.***

Global UGRAD იგივე Global Undergraduate Exchange Program არის ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განათლებისა და კულტურულ საქმეთა ბიუროს მიერ დაფინანსებული პროგრამა, რომელსაც აშშ-ში ადმინისტრირებას უწევს ორგანიზაცია World Learning, ხოლო საქართველოში კი – აშშ-ის საელჩო თბილისში. ეს არის საერთაშორისო საგანმანათლებლო და კულტურული გაცვლითი პროგრამა, რომელიც საშუალებას აძლევს ნებისმიერი მიმართულების ბაკალავრის საფეხურის სტუდენტებს, ერთი სემესტრის განმავლობაში ისწავლონ თავიანთი ძირითადი პროფესია აშშ-ის უნივერსიტეტებში, გაეცნონ აშშ-ის საგანმანათლებლო სისტემას, ქვეყნის კულტურასა და ღირებულებებს და, ასევე, გაუზიარონ თავიანთი კულტურა სხვებს. პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსება მოიცავს მგზავრობას, საცხოვრებელს, კვებას, სწავლას და დამატებით სტიპენდიას.

გოგა ქათალანძე თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტია და პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებით სწავლობს. როგორც თავად ამბობს, სკოლა ოკუპირებული აფხაზეთის გალის რაიონში დაამთავრა. კერძო მასწავლებელთან არასდროს უვლია, ინგლისური სკოლაში რუსულ ბაზისზე აგებული სახელმძღვანელობის გამო ვერ აითვისა. ამიტომაც, სწავლა საკუთარი ძალებით დაიწყო. უყურებდა ფილმებს, უსმენდა სიმღერებს, კითხულობდა, კონტაქტობდა უცხოელებთან. სკოლის პერიოდში თარჯიმნადაც მუშაობდა ოკუპირებულ აფხაზეთში არასამთავრობო ორგანიზაციაში. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ კი ინგლისურის დონის ამაღლებას ხელი რამდენიმე საერთაშორისო პროექტში მონაწილეობამ შეუწყო. ამ პროგრამის შესახებ „განათლება ამერიკაში" ორგანიზაციის თანამშრომლისგან, დალი ხომერიკისგან, შეიტყო, რომელსაც მის წარმატებაში შეტანილი წვლილისთვის ემადლიერება. თავიდან პესიმისტურად იყო განწყობილი. ეშინოდა, რომ სხვა მონაწილეებს კონკურენციას ვერ გაუწევდა. პროგრამის კონკურსით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილება ადვილი არ ყოფილა, თუმცა, საბოლოოდ ერთ-ერთი ფინალისტი აღმოჩნდა.



„ეს ჩემი პირველი სტიპენდიაა. ძალიან ბედნიერი და ამავდროულად აღელვებული ვარ, რადგან ასე შორს სახლიდან არასდროს ვყოფილვარ. თუმცა, ვფიქრობ, ეს ჩემთვის ძალიან დიდი გამოცდილება იქნება. გაზაფხულის სემესტრს მიჩიგანის შტატში, ქალაქ დეტროიტში გავატარებ. ვეინის სახელმწიფო უნივერსიტეტში (Wayne State University) – გავაგრძელებ ჩემი სპეციალობის (პოლიტიკის მეცნიერება) შესწავლას. სწავლას 8 იანვრიდან ვიწყებ და მაისში დავასრულებ. სასწავლებლად არა, მაგრამ მოკლევადიანი სასწავლო პროექტებით, ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ვიყავი. სამომავლოდ ვაპირებ ჩემი ცხოვრება დიპლომატიურ საქმიანობას დავუკავშირო, შევისწავლო კონფლიქტები და გარკვეული წვლილი შევიტანო საქართველოს განვითარებაში. თსუ-მ უდიდესი გამოცდილება შემძინა. ჩემს თავში დარწმუნებულ და თამამ სტუდენტად მაქცია, რაც უამრავი პრობლემის დაძლევაში დამეხმარა, განსაკუთრებით ამ პროგრამის სხვადასხვა საფეხურის გავლაში", -ამბობს გოგა.

თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მესამე კურსის, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების სტუდენტმა ნინო კვირიკაშვილმა

კონკურსის შესახებ აშშ-ის საელჩოს ფეისბუქ გვერდის საშუალებით შეიტყო. მისი აზრით, კონკურსში მონაწილეობა UGRAD-ის ხარისხიანი განათლების და გამოცდილების მისაღებად და ამერიკული კულტურის გასაცნობად მისთვის საუკეთესო შესაძლებლობას წარმოადგენდა და სწორედ ამიტომ გადაწყვიტა მონაწილეობა. „აპლიკაცია მხოლოდ მას შემდეგ შევავსე, რაც დავრწმუნდი, რომ პროგრამის მოთხოვნებს ვაკმაყოფილებდი. მიუხედავად დიდი კონკურსისა, მთავარია მოტივაცია და საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად წარმოჩენა. UGRAD ჩემთვის პირველი გაცვლითი პროგრამაა, რომლითაც სასწავლებლად გავემგზავრები. გაზაფხულის სემესტრში სამხრეთ ინდიანას უნივერსიტეტში, ინდიანას შტატში ვისწავლი. უნივერსიტეტში გავივლი ჩემი ძირითადი სპეციალობის, საერთაშორისო ურთიერთობების კურსებს და ასევე კურსს ამერიკის შეერთებული შტატების შესახებ (ისტორიის, კულტურის, პოლიტიკის ან სხვა, სურვილისამებრ). აშშ-ში 2 იანვარს მივემგზავრები.

აქამდე სემესტრული გაცვლითი პროგრამით არასდროს



ვყოფილვარ, თუმცა 2017 წლის ზაფხულში მოლდოვის რესპუბლიკაში მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროექტის ფარგლებში ვიყავი. მოუთმენლად ველოდები აშშ-ში ახალი სემესტრის დაწყებას. საქართველოში დაბრუნების შემდეგ მინდა, რომ იქ მიღებული ცოდნა და გამოცდილება ჩემს ქვეყანაში მაქსიმალურად გამოვიყენო. მაგისტრატურაში სასწავლებლად საზღვარგარეთ ვგეგმავ წასვლას. მაინტერესებს დიპლომატიის სფერო და მსურს, რომ ჩემი პროფესიით ვიმუშაო.

ბუნებრივია, თსუ-ში შეძენილი ცოდნა და გამოცდილება ძალზე დამეხმარა ამ წარმატების მიღწევაში. საერთაშორისო ურთიერთობის მიმართულების ლექტორებთან ურთიერთობა ჩემთვის ძალიან სასიამოვნო და ბევრისმომცემია. აპლიკაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო რეკომენდაცია. რეკომენდაცია ბატონმა ზურა დავითაშვილმა და ქალბატონმა სოფია პეტრიაშვილმა გამიწიეს, რისთვისაც მათ დიდ მადლობას ვუხდი", – აღნიშნავს ნინო.

ნატალია ჭამიაშვილი ასევე სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეოთხე კურსზე, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებაზე სწავლობს.

„საკონკურსო პროგრამის შესახებ ჩემი მეგობრისა და კურსელისგან თორნიკე აბულაძისგან შევიტყვე, რომელიც წინა წლის გამარჯვებულია. თორნიკეს მაგალითი დიდი სტიმულის მომცემი იყო ჩემთვისაც. პირველივე ცდაზე გავიმარჯვე, თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ ადვილი იყო. ბევრს ვშრომობდი თითოეული ეტაპისთვის მოსამზადებლად. შარშან მოვიპოვე Erasmus+-ის სტიპენდია და მომეცა საშუალება, მიმეღო ევროპული განათლება. ორი თვის წინ დავბრუნდი გერმანიიდან, სადაც ვიადრინას ევროპულ უნივერსიტეტში ამავე მიმართულებით ვსწავლობდი. აშშ-ში 19 იანვარს გავემგზავრები. ფოკუსირებული ვიქნები ამერიკის ისტორიისა და კულტურის შესწავლაზე. თსუ-ში დაგროვილი ცოდნა იყო საფუძველი იმისა, რომ სამაგისტრო კურსების გერმანიაში წარმატებით გავლა არ გამჭირვებია, მიუხედავად იმისა, რომ ბაკალავრიატის საფეხურზე ვსწავლობდი. ჩემი ლექტორები ყოველთვის მხარს მიჭერდნენ, იზიარებდნენ ჩემს წარმატებებს. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ ზურაბ და-



ვითაშვილს და ქალბატონ სოფია პეტრიაშვილს, რომელმაც სამჯერ გამიწია რეკომენდაცია გაცვლითი პროგრამებისთვის, რაც სამივეჯერ წარმატების მომტანი აღმოჩნდა ჩემთვის. ყოველ სემესტრში მქონდა სტიპენდია, რასაც ჩემივე განათლებაში ვაბანდებდი. ძალიან მინდა, სამაგისტრო პროგრამაზე სწავლა საზღვარგარეთ გავაგრძელო. თუმცა, სასურველი სტიპენდიის მოპოვება მარტივი არაა და ძალიან დიდი შრომა დამჭირდება. რამდენიმე საქველმოქმედო პროექტი წამოვიწყე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში, რომელთა წარმატებით განხორციელებაც ახლო მომავალში მსურს", – ამბობს ნატალია. ნატალია თსუ-ს გოგონათა გუნდშიც მღეროდა, რომელიც წარმატებით მონაწილეობდა სახელმწიფო და საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალებში. გუნდში მიღებულმა გამოცდილებამ მას გერმანიაში სწავლის პერიოდში, არააკადემიურ ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობაშიც შეუწყო ხელი.

# წარმატებების წელი

2017 წელი უნივერსიტეტის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის წარმატებული წელი აღმოჩნდა. მოკლედ გადავავლოთ თვალი მათი წარმატების ისტორიებს:



24 წლის გიორგი მეგრელი თსუ მაგისტრატურის კურსდამთავრებულია. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი გასულ წელს დაამთავრა და ძალიან მალე კომპანია Google-ის ლონდონის ოფისში დაიწყო მუშაობა.



მსოფლიოში უდიდესი ნავთობმომპოვებელი და გადამამუშავებელი ამერიკული კორპორაცია ExxonMobil-ის ბუდაპეშტის ფილიალის ფინანსური ანალიტიკოსი თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებული 22 წლის ქართველი მარიამ დევაძეა. მან დამამთავრებელ კურსზე ჯერ ბუდაპეშტში სწავლის გაგრძელების სრული დაფინანსება მოიპოვა, გასული წლის მაისში კი ჯონ როკფელერის „სტანდარდ ოილის" შთამომავალი კომპანიის ExxonMobil-ის თანამშრომელი გახდა.



კესი კაციტაძე თბილისში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (აშშ) ბიოქიმიის ფაკულტეტის მეორე კურსის წარჩინებული სტუდენტია. ის გასულ წელს ერთი სემესტრით გაემგზავრა კალიფორნიაში სასწავლებლად.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მაგისტრანტები თეონა რუსია (ინფორმაციული ტექნოლოგიები) და ირმა მახარაძე (ინფორმაციული სისტემები), გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამამ (WFP) რომში 6 თვიანი ანაზღაურებული სტაჟირებისთვის შეარჩია.



თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურსდამთავრებული ნინო ნანიტაშვილი ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა „ამომავალი ლიდერის" ტიტულით დააჯილდოვა.

ინფორმატიკის ფრანგულენოვანი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებმა მეორედ მიიღეს მონაწილეობა დაპროგრამების საერთაშორისო კონკურსში Battle Dev და შარშანდელი შედეგი საგრძნობლად გააუმჯობესეს: 34-ე ადგილის ნაცვლად მე-4 ადგილი საერთო რეიტინგში.



თსუ ამერიკისმცოდნეობის დოქტორანტმა და მოწვეულმა ლექტორმა მარიამ ხატიაშვილმა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის აშშ-ის საგარეო პოლიტიკის მკვლევართა პროგრამაში გაიმარჯვა. მარიამი საქართველოდან ერთადერთი მონაწილეა,რომელიც წელს აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობდა.



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი გიორგი მეშველიანი საერთაშორისო სტუდენტ ფიზიკოსთა ასოციაციის კონფერენციაზე PIERS 2017, რომელიც 2017 წელს პეტერბურგში გაიმართა, წარმატებით წარსდგა. მან წარადგინა მოხსენება თემაზე „ელექტრომაგნიტური ველების არასტანდარტული მახასიათებლები".



მარიამ როგავა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე საქართველოს მასშტაბით ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე სტუდენტია, იგი დღეს ფიზიკის მიმართულებაზე სწავლობს თსუ-ში.

თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის, ფიზიკის დეპარტამენტის სტუდენტებმა და-ძმამ, ცოტნე და ეკატერინე დადიანებმა ივლისში იტალიის ქალაქ კალიარიაში ჩატარებულ სტუდენტურ კონფერენციაში მიიღეს მონაწილეობა. ეკატერინე დადიანის მოხსენების თემა იყო: „მომღერალი ფურცელი", ხოლო ცოტნე დადიანმა წარადგინა პოსტერი თემაზე: „სინათლის ბეჭდები სითხის ვარდნილ სვეტში", რომელიც საუკეთესო პოსტერად დასახელდა.



2017 წლის მათემატიკის მსოფლიო ოლიმპიადის ოქროს მედალოსნებს შორის მე-5 ადგილის მფლობელი თსუ სტუდენტი ალექსანდრე საათაშვილია. მას რექტორის სტიპენდია მიენიჭა. საქართველოს ნაკრების ოლიმპიადების ისტორიაში ალექსანდრეს შედეგი რეკორდულია.



ალექსანდრე საათაშვილი, გელა პატაშური (ფიზიკის საერთაშორისო ოლიმპიადის (IPHo) ბრინჯაოსმედალოსანი), საბა თავდგირიძე (ქიმიის საერთაშორისო ოლიმპიადის ბრინჯაოსმედალოსანი), გიორგი გრიგოლია (ფიზიკის საერთაშორისო ოლიმპიადის (IPHo) ბრინჯაოსმედალოსანი) დღეს თსუ საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტები არიან.



თსუ სტუდენტები ისრაელში, არიელის უნივერსიტეტში 16-22 ოქტომბერს მიმდინარე მათემატიკის მე-12 ღია საერთაშორისო ინტერნეტ ოლიმპიადის (OIIO) სუპერფინალისტები გახდნენ. სუპერფინალში მონაწილეობა მიიღეს თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის საბაკალავრო პროგრამის მე-4 კურსის სტუდენტებმა: გიორგი სვანაძემ, ანანო ბასილაიამ და ელენე გაბელაიამ. გიორგი სვანაძემ ოქროს მედალი, ხოლო ანანო ბასილაიამ და ელენე გაბელაიამ ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს.



ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი გიორგი ქაჩლიშვილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროექტის „თსუ ინოვაცია" გამარჯვებული გახდა. გიორგის პროექტით „ინოვაციური ავია-კოსმოსური

# წარმატებების წელი



ტექნოლოგიები“საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრები დაინტერესდნენ.

მარიამ მარსაგიშვილი თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტია. თსუ გაცვლითი პროგრამით ირლანდიაში 1 წელი იმყოფებოდა. ლიმერიკის უნივერსიტეტმა 1-ლი სემესტრის გავლის შემდეგ მარიამს გაზაფხულის სემესტრში სწავლის გაგრძელების საშუალება მისცა, თსუ-ს კი მადლობის წერილი გამოუგზავნა.



## სიახლეები

19 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტის ორგანიზებით ანსამბლ „ერისიონის“ საქველმოქმედო კონცერტი გაიმართა.

* * *

18 დეკემბერს თსუ იურიდიული ფაკულტეტისა და იტალიის ლუიჯი ვანვიტელის სახელობის კამპანიის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის თანამშრომლობით, სამეცნიერო-კვლევითი პროექტის საფუძველზე, ინგლისურ ენაზე შექმნილი ერთობლივი სტატიათა კრებულის „RECONSIDERING GENDER BASED-VIOLENCE AND OTHER FORMS OF VIOLENCE AGAINST WOMEN" COMPARATIVE RESEARCH/ANALYSIS IN THE LIGHT OF THE ISTANBUL CONVENTION“ პრეზენტაცია გაიმართა.

* * *

18 დეკემბერს სახელმწიფო უნივერსიტეტში, „შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის მიმართულების“ და იაპონური ენისა და კულტურის ცენტრის ორგანიზებით „იაპონური კულტურის საღამო“ გაიმართა. საღამოზე წარმოდგენილი იყო პრეზენტაციები, ლექსები და სიმღერები იაპონურ ენაზე, ჩატარდა ვიქტორინა, ვორქშოფები კალიგრაფიასა და ორიგამის ხელოვნებაში.

* * *

12 დეკემბერს, სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოფენა „ჩემო კალამო – ილია ჭავჭავაძის შემოქმედება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში“ გაიხსნა.

ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 180-ე წლის იუბილესთან დაკავშირებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ მოამზადა მისი ნაშრომებისა და პუბლიცისტური წერილების გამოფენა.

* * *

11 დეკემბერს, სახელმწიფო უნივერსიტეტში ესეების კონკურსის: „გერმანულ-ქართული ურთიერთობები“ გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.

კონკურსი გამოცხადდა სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს გერმანული ენის მასწავლებელთა ასოციაციისა და რაინლანდ ერფტისლიტერატურული გაერთიანების ორგანიზებით და მიეძღვნა საქართველო-გერმანიის მეგობრობის იუბილეს. კონკურსში მონაწილეობდნენ მოსწავლეები როგორც თბილისიდან, ისე რეგიონების საჯარო და კერძო სკოლებიდან.

* * *

ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 180 წლის იუბილეს ფარგლებში ღონისძიებები გაიმართა:

12 დეკემბერს ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი „ილია ჭავჭავაძე - 180“. სიმპოზიუმში მონაწილეობდნენ ქართველი და უცხოელი მეცნიერები საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტიდან და კვლევითი ცენტრიდან, გერმანიის, თურქეთის, რუსეთის, აზერბაიჯანის უნივერსიტეტებიდან და სამეცნიერო ცენტრებიდან.

* * *

6 დეკემბერს თსუ ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის ორგანიზებით მესამე საერთაშორისო კონფერენცია „მათემატიკისა და ინფორმატიკის გამოყენება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და ინჟინერიაში“ გაიმართა, რომელიც პროფესორ დავით გორდეზიანის 80 წლისთავს მიეძღვნა.

* * *

6 დეკემბერს სახელმწიფო უნივერსიტეტში ადამიანის უფლებების სამართლის საუნივერსიტეტო კვირეულის ფარგლებში საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის, სამართლის დოქტორის ანა დოლიძის წიგნის „აკადემიური წერა სამართალში“ პრეზენტაცია გაიმართა.

* * *

4 დეკემბერს ირანული კულტურის, ხელოვნებისა და კინოს პოპულარიზაციის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩომ თბილისში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად ირანული ფილმების ფესტივალი გამართა, რომლის ფარგლებში ნაჩვენები იყო ოთხი ირანული ფილმი.

* * *

4 დეკემბერს სახელმწიფო უნივერსიტეტში ევროკავშირის სპეციალური მხარდამჭერი ინსტრუმენტის – Policy Support Facility ფარგლებში, ექსპერტებისა და საქართველოს კვლევითი უნივერსიტეტების რექტორების სამუშაო შეხვედრა გაიმართა. Policy Support Facility გულისხმობს დამოუკიდებელი, საერთაშორისო ექსპერტების მხრიდან რეკომენდაციის შემუშავებას საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) სისტემის გაძლიერების მიზნით.

* * *

1 დეკემბერს სახელმწიფო უნივერსიტეტს ბუშეჰრის (ირანი) სპარსეთის ყურის უნივერსიტეტის დელეგაცია ეწვია. შეხვედრაზე თსუ რექტორმა გიორგი შარვაშიძემ და სპარსეთის ყურის უნივერსიტეტის რექტრმა აბდოლმაჯიდ მოსლეჰიმ ურთიერთთანამშრომლეობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

# „შემოდგომის ლეგენდა – 2017“ – გამარჯვებულები საკონკურსო გამოცდილების შესახებ

*პირველი გვერდიდან*



შექმნა. თან, ბოლო პერიოდის განმავლობაში ძალიან დიდი ხანი ვიყავი უმოქმედოდ. ვერც ვწერდი და ვერც სხვა ჩემთვის მნიშვნელოვან რაღაცებს ვაკეთებდი. ამ კონკურსმა კი თითქოს გამომაცოცხლა და წამით მაინც დამაჯერა, რომ არ უნდა გავჩერდე.

კონკურსის თემა სხვისი ავტობიოგრაფია იყო. უნდა დაგვეწერა ერთი კონკრეტული პერსონაჟის ბიოგრაფიისა და ცხოვრების შესახებ. ყოველთვის, როცა ადამიანის ბიოგრაფიაზე ვიწყებთ ლაპარაკს, პირველ რიგში, ვიხსენებთ, თუ სად დაიბადა, რომელ სკოლაში სწავლობდა, რა პროფესიისაა, სად ცხოვრობს, ჰყავს თუ არა შვილები, ა.შ და ა.შ. რეალურად კი, შესაძლოა ამ ადამიანისთვის სრულიად სხვა, სხვებისთვის უმნიშვნელო დეტალები და ფაქტები იყოს ბევრად ღირებული. ის დეტალები, რომლებსაც მის გარდა ვერავინ ამჩნევს და რომლებიც მხოლოდ მისთვისაა მნიშვნელოვანი. სწორედ ეს იყო მთავარი იდეა, რომლის მიხედვითაც ავაგე ჩემი მოთხრობა“, – ხატია გამარჯვებას არ ელოდა, ფიქრობდა რომ მეტის გაკეთება შეეძლო და შესაძლებლობები მაქსიმალურად ვერ გამოიყენა, – „გამარჯვებას, და მით უმეტეს პირველ ადგილზე გასვლას, საერთოდ არ ველოდი. ამის მთავარი მიზეზი, ისევე როგორც სხვების შემთხვევაში, ჩემთვისაც ის იყო, რომ არ მომწონდა ჩემი ნაწერი. ვიცოდი, რომ ბევრად მეტის გაკეთება შემეძლო და ვერც ჩემი შესაძლებლობები გამოვიყენე მაქსიმალურად. მე მხოლოდ ერთადერთი რჩევის მიცემა შემიძლია, რაშიც ბოლომდე ვარ დარწმუნებული. არ ვიცი, რამდენად გამოადგებათ ეს კონკურსში გამარჯვებისთვის, თუმცა, ვფიქრობ, რომ წერისას ყველაზე მნიშვნელოვანი გულწრფელობაა. არ იფიქროთ იმაზე, თუ როგორ მოერგონ ჟიურის, რა მოეწონებათ მათ და ა.შ. დაივიწყონ ეს ყველაფერი და მხოლოდ ის დაწერონ, რასაც მართლა, გულწრფელად ფიქრობენ. კარგი და ღირებული მოთხრობა (თუნდაც სხვა, ხელოვნების ნებისმიერი ნაწარმოები) ამის გარეშე არ არსებობს“, – ამბობს ხატია.

მეორე ადგილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ალექსანდრე კალმახელიძეს ერგო.

„კონკურსში მონაწილეობით მსურდა საკუთარი თავისთვის დამემტკიცებინა, რომ მეგობრების წრის გარდა, სხვებისთვისაც საინტერესო შეიძლებოდა ყოფილიყო ჩემი ნაწერი. იმპროვიზაციულ ტურში არ მქონია კონკრეტული სათქმელი, უბრალოდ მოცემულ თემას გავყევი. კონკურსში საკმაოდ ძლიერი მონაწილეები იყვნენ და არ გამიკვირდებოდა სამეულის მიღმა დარჩენა. მათ, ვისაც სურს ამ პროექტში მონაწილეობის მიღება, პირველ რიგში ვურჩევ, რომ გაბედონ და გააგზავნონ საკუთარი ნამუშევრები შესარჩევ ტურში. ფინალურ ტურში არ ჩავიდნენ გამზადებული მოთხრობით და არ ცადონ მისი თემაში ხელოვნურად ჩასმა“, – აღნიშნავს ალექსანდრე.

მესამე ადგილის მფლობელი მარიამ ჭუმბურიძე ჩვენთან საუბრისას ამბობს, რომ კონკურსში გამარჯვება მისი თვითმიზანი არ ყოფილა, მისთვის წერა მთავარი თვითგამოხატვის საშუალებაა.

„წელს მეორედ მივიღე ამ კონკურსში მონაწილეობა. ჩემთვის ლეგენდა შეუცვლელია, განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს ამ კონკურსის მიმართ, რადგან კარგი საშუალებაა იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც წერენ – გამოსცადონ საკუთარი შესაძლებლობები და რაც ყველაზე მთავარია, დაიჯერონ, რომ ის, რასაც წერენ შეიძლება სხვებისთვისაც იყოს საინტერესო და მნიშვნელოვანი.

ჩემი მოთხრობა არის შეზღუდული შესაძლებლობის, 33 წლის გეი მამაკაცზე, რომელსაც უწევს ტოტალიტარული რეჟიმის პერიოდში ცხოვრება. მოთხრობაში ნაჩვენებია, როგორ ართმევს პარტია საკუთარ მეობასა და ხდება სრულიად მარგინალიზებული. ამასთანავე მოთხრობაში ნაჩვენებია, სხვა სოციალური პრობლემები და გამოწვევი, რომლის წინაშეც დგას დღევანდელი ქართული საზოგადოება. ჩემი სათქმელი, მარტივია, მხარს ვუჭერ და სოლიდარობას ვუწევ ჩვენ საზოგადოებაში არსებულ ყველა სახის უმცირესობას და მსურს ერთიან ინკლუზიურ გარემოში ცხოვრება. წელსაც და ორი წლის წინაც, როდესაც მე – 2 ადგილი დავიკავე ჩემი თვითმიზანი გამარჯვება არ ყოფილა. ვიკითხე კიდეც, მე რატომ მეთქი. ყველა სტუდენტს, რომლებსაც „ეწერინებათ“, ვურჩევ რომ გააგზავნონ აუცილებლად მომავალ წელს საკუთარი მოთხრობები და დესკტოპის ფოლდერების გარეთაც წააკითხონ სხვებს. ძალიან მჯერა სიტყვის ძალის და იმისიც რომ ადამიანებს, რომლებსაც სათქმელი ბევრი აქვთ, სხვების დახმარება, „გადარჩენა“ უდავოდ შეუძლიათ,“ – ამბობს მარიამი.

კონკურსის საპრიზო თანხა და კომპანია ჯეოსელის საჩუქრები – მობილურები „ეფლისგან“ სამ გამარჯვებულზე გადანაწილდა: I ადგილი – 1000 ლარი, II ადგილი – 700 ლარი და III ადგილი – 500 ლარი.

დაჯილდოების საღამოზე გამოვლინდა ონლაინ კონკურსის გამარჯვებულიც – ნინო მოდებაძე, რომელსაც კომპანიის მიერ დაწესებული პრიზი – ხმის გამაძლიერებელი Marshall Acton გადაეცა. ძირითადი კონკურსის პარალელურად, ყველა მსურველს ჰქონდა შესაძლებლობა ჩართულიყო ონლაინ ლიტერატურულ მარათონში. „ჯეოსელის“ სპეციალური აპლიკაციის დახმარებით დარეგისტრირებულმა კონკურსანტებმა ფინალისტებისთვის მიცემულ თემაზე ახალი ნაშრომები შექმნეს, საერთო ჯამში მარათონში 300-მდე მონაწილე დარეგისტრირდა. ფინალისტების და ონლაინგამარჯვებულის ნაშრომი ყოველწლიურ ბროშურაში გაერთიანდა, რომელიც ღონისძიებაზე მოსულ სტუმრებს საჩუქრად გადაეცათ.

# თსუ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები – ევროპული იმიტირებული სასამართლო პროცესების შეჯიბრის გამარჯვებულები

*პირველი გვერდიდან*

მომსვლელის ჯილდოც დაიმსახურა.

„პირველ რიგში, ძალიან დიდი პატივია, რომ შესაძლებლობა მოგვეცა წარმოგვედგინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საერთაშორისო ასპარეზზე. საქართველოს უნივერსიტეტებიდან მხოლოდ თსუ იყო წარმოდგენილი, ფინალური რაუნდის საუკეთესო გამომსვლელის ჯილდოს მიღებაც საპატივცემულო იყო ჩემთვის, თუმცა ეს გამარჯვებაც გუნდის დამსახურებაა, თითოეული წევრის, თსუ პროფესორების, ჩვენი მწვრთნელი საბა ფიფიას და საერთოდ, მთლიანად ფაკულტეტის. მადლობა ორგანიზატორებს, რომ ამ კონკურსში მონაწილეობით მოგვეცა ჩვენი ცოდნის პრაქტიკაში გამოვლენის შესაძლებლობა“, – ამბობს რევაზ ტყემალაძე.

იმიტირებული პროცესების ფარგლებში გუნდი კომპეტენტური ჟიურის წინაშე წარსდგა წინასწარი საკვალიფიკაციო რაუნდის ფარგლებში (სულ 4 გამოსვლა), შემდეგ – ნახევარფინალურ და ფინალურ რაუნდებში (2 გამოსვლა). სადავო საკითხები შეეხებოდა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის, ლტოლვილთა საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორიცაა ომის წარმოების მეთოდები და საშუალებები, შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა სტატუსი, ომის დანაშაულები, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს კომპეტენცია და სხვ.

„სამართლის სტუდენტებისთვის ხშირად ტარდება ხოლმე ასეთი შეჯიბრებები. იმიტირებული პროცესი ამოწმებს სტუდენტების ცოდნასა და უნარებს. ჩვენმა გუნდმა პირველი ადგილი ევროპის 12 სხვადასხვა უნივერსიტეტის გუნდს შორის დაიკავა. კონკურსი რთული იყო, საკმაოდ კარგი გუნდები მონაწილეობდნენ, თუმცა კარგად მომზადებულები ვიყავით და შედეგით ძალიან გახარებულები ვართ“, – აღნიშნავს იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტი, სალომე შუბლაძე.

თსუ გუნდი მომზადდა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის პროფესორებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელობით, კერძოდ პროფესორ ქეთევან ხუციშვილის, რომლის სახელსაც უშუალოდ უკავშირდება თსუ-ში ლტოლვილთა სამართლის დამოუკიდებელ სასწავლო დისციპლინად შემოღება; ასევე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ლექტორების – ნათია კალანდარიშვილის და საბა ფიფიას და ინსტიტუტის დოქტორანტის ონისიმე ცხომელიძის მიერ. აკადემიკოსი ლევან ალექსიძე თსუ გუნდის კონკურსში მონაწილეობის ინიციატორია და მანვე უზრუნველყო საერთაშორისო რაუნდში მონაწილეობისთვის გუნდის გამგზავრება.

კონკურსში მაგისტრატურის სტუდენტების გარდა, იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის, მე-4 კურსის სტუდენტი, დავით ჯავახიშვილიც მონაწილეობდა.

„თსუ-ს ყველა სტუდენტს მოვუწოდებ ,რომ მიიღონ მსგავს კონკურსში მონაწილეობა, გაიტანონ ჩვენი უნივერსიტეტის სახელი საერთაშორისო ასპარესზე, იმიტომ რომ სწორედ აქ ჩანს ჩვენი და ჩვენი უნივერსიტეტის მომზადების დონე. ჩვენც მზადყოფნას გამოვთქვამთ,რომ მომავალ თაობებს გავუკვალავთ გზას, დავეხმარებით და ყველანაირად გვერდში დავუდგებით“, – ამბობს დავითი.

საერთაშორისო ჰუმანიტარული და ლტოლვილთა სამართლის საერთო ევროპული იმიტირებული სასამართლო პროცესების ორგანიზატორები წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, გაეროს უმაღლესი კომისარიატი ლტოლვილთა საკითხებში, სლოვენიის საკონსტიტუციო სასამართლო და ლუბლიანას უნივერსიტეტია. შეჯიბრში მონაწილეობას იღებდნენ სამართლის სკოლები მაასტრიხტის, ათენის, ვარშავის, ბუდაპეშტისა და სხვა ევროპული უნივერსიტეტებიდან. საერთაშორისო რაუნდში მონაწილეობისთვის შერჩეული 12 გუნდიდან თსუ-ს გუნდმა წარმატებით გაიარა საკვალიფიკაციო ეტაპი და საერთაშორისო რაუნდშიც გამარჯვება მოიპოვა.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge